ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 179/3

„20" ივნისი 2013 წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი " (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ შპს „ორისი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის საჭიროებისათვის საბუღალტრო პროგრამა "ორის ბუღალტერიის" ხუთმომხმარებლიანი ერთვალუტიანი ვერსიის (A05S/U) განახლების მომსახურების გამარტივებული შესყიდვა (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV48443000-საქმიანი გარიგებებისა და პირადი ბიზნესის წარმართვის პროგრამული პაკეტი კონკრეტული CPV 48443000-ბუღალტერიის პროგრამული პაკეტი) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **318,51** (სამასთვრამეტი ლარი და ორმოცდათერთმეტი თეთრი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ბუღალტრული პროგრამა "ორის ბუღალტერიის" ხუთმომხმარებლიანი, ერთვალუტიანი პროგრამის განახლების (A05S/U) შესყიდვა.

4. საავტორო უფლება

4.1. კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს "ორისის"' საკუთრებას და დაცულია კანონით.

5. სალიცენზიო უფლებები

5.1. პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, ''შემსყიდველს'' უფლება აქვს იმუშაოს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

6. უფლებების გადაცემა

6.1. 'შემსყიდველს შეუძლია გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, შემსყიდველმა უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თავის კომპიუტერზე წაშალოს პროგრამის ყველა ასლი.

7. შეზღუდული გარანტია

7.1.მიმწოდებლის მიერ 'შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის განახლებიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. პროგრამის განახლებიდან ერთი წლის განმავლობაში '"შემსყიდველს" უფლება აქვს მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

8. გარანტიების არარსებობა

8.1. პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს შემსყიდველის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ

პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

9. მომსახურების გაწევის პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, და ასევე საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის წარდგენით.

10.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე ალ.ყაზბეგის N12 ბ.

11. ანგარიშსწორების პირობები

11.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

11.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და ხელშეკრულების 20.1. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

11.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას 10.1 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

12. მხარეთა ვალდებულებები

12.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

12.1.1. შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

12.1.2. განახორციელოს 7.1პუნქტით1 გათვალისწინებული მომსახურება პროგრამის განახლებიდან ერთი წლის განმავლობაში.

12.1.3 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

12.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

12.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

12.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული დაფინანსება.

12.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

13. მხარეთა უფლება

13.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

13.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

13.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

13.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

15.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

15.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

17.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

18. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

18.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

18.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

19. ხელშეკრულების შეწყვეტა

19.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

19.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

19.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

19.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

19.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

20. ინსპექტირების პირობები

20.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

20.2. წინამდებარე ხელშეკრულების 20.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფინქციებია:

20.2.1. გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

20.2.2. ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

20.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე.

22. განსაკუთრებული პირობები

22.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

22.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან'' სამი – „შემსყიდველთან''

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი " "	შპს „ორისი"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #144	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.#12ბ.Vსართ
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
კოდი # TRESGE22	კოდი #BAGAGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა # GE88BG0000000120121601
ს/კ # 205169592	ს/კ # 206033754
მარინა მესხი დირექტორი	დავით ბოთოშიბ დირექტორი